სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

31 დეკემბერი, 2025 წელი

ბრძანება №01-10/111

რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) **პროგრამაზე „რადიოლოგია“ სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების და პირველადი ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის რსუ-ში მოქმედ მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებზე და ასევე რეზიდენტურაში სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კერძო რეზიდენტურის მსმენელებისათვის (რეზიდენტებისათვის) სწავლის საფასურის განსაზღვრის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 1 ოქტომბრის №04 გადაწყვეტილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის რსუ-ში მოქმედ მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებზე და ასევე რეზიდენტურაში დასაქმებული პირების (მოწვეული სპეციალისტების/რსუ-ს აკადემიური პერსონალის) შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 1 ოქტომბრის №05 გადაწყვეტილების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (№07-01/04, 19.02.2025 წ.) დამტკიცებული „ბსუ-ს მოკლევადიანი და სარეზიდენტო პროგრამების პირველადი ბიუჯეტის (ხარჯთაღრიცხვის) შედგენის წესის", საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№27-05/13, 13.10.2025) და ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის MES 4 25 0001365331, 17.10.2025), „რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამის **„რადიოლოგია“** განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის **№01-06/139** დადგენილების, რეზიდენტურის პროგრამის „რადიოლოგია" აკრედიტაციის განაცხადის წარდგენის შესახებ ბსუ-ს წერილების (№1360658, 28.11.2025 წ.; №1349226, 26.11.2025 წ.; №1394103, 04.12.2025 წ.), ბსუ-ს წერილების (№1676900, 25/11/2025 წ. - სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის თაობაზე; №1729647, 04/12/2025 წ. - აკრედიტაციისათვის მომსახურების საფასურის გადახდის თაობაზე), სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების **სააგენტოს აკრედიტაციის ოქმების** (08/12/2025 წ №აკ/ო 3798 – 230 და 11/12/2025 წ. №აკ/ო 3831 – 233), მათი ბსუ-ში წარმოდგენის შესახებ ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მთავარი სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (№1775614, 11/12/2025 წ.), ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორის და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ჯანდაცვის (რადიოლოგიის) მიმართულების კოორდინატორის, სარეზიდენტო პროგრამის „რადიოლოგია" ხელმძღვანელ დავით ცეცხლაძის სამსახურებრივი ბარათის (№1676674; 25/11/2025 - აკრედიტაციის განაცხადის წარდგენის, პროგრამის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებისა და პერსონალისათვის პირობითი შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამაზე **„რადიოლოგია“** (ხანგრძლივობა **33 თვე) სწავლის საფასური, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირველადი ხარჯთაღრიცხვა,** წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად.
2. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული **სწავლის საფასური და პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა (ტარიფი) გავრცელდეს** წინამდებარე ბრძანების გამოცემის შემდეგ ჩარიცხულ მსმენელებზე/სპეციალობის მაძიებლებზე და მათი სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოწვეულ პერსონალზე.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, რექტორის აპარატს, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ამ ბრძანებაში აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელს (დავით ცეცხლაძეს), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მერაბ დიასამიძე**

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 31 დეკემბრის №01-10/111 ბრძანების

№1 დანართი

რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) **სარეზიდენტო** პროგრამაზე **„რადიოლოგია“**
სწავლის **საფასური, პერსონალის შრომის ანაზღაურება და პირველადი ხარჯთაღრიცხვა**
(საფუძველი: „რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამის „რადიოლოგია“ განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №01-06/139 დადგენილება)

	პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა - 33 თვე			
№	**ხარჯთაღრიცხვის პარამეტრები** სპეციალობის 1 მაძიებელზე/მსმენელზე		**თანხა**	
1	**პროგრამაზე სწავლის საფასური** (სრული - 33 თვე)		**26 400 ლარი** (მათ შორის ყოველთვიურად გადასახდელი თანხა - **800 ლარი**)	
2	**პროგრამის ხელმძღვანელის** შრომის ანაზღაურება - სწავლის საფასურის **20 %**		**5 280 ლარი**	
3	**კლინიკური მოდულების ხელმძღვანელების შრომის** ანაზღაურება (სწავლის საფასურის - **50 %)**	**მოდულის დასახელება**	**მოდულის ხანგრძლივობა**	**შრომის ანაზ-ბა**
		1. მოდული N1.1. რენტგენოლოგიის ზოგადი საკითხები	**1,0 თვე**	**400 ლარი**
		2. მოდული N1.2. გულმკერდის ღრუს დაავადებათა რენტგენოდიაგნოსტიკა	**2,5 თვე**	**1 000 ლარი**
		3. მოდული N1.3. შარდის გამომყოფი ორგანოების დაავადებათა რენტგენდისგნოსტიკა	**2,0 თვე**	**800 ლარი**
		4. მოდული N1.4. საყრდენ–მამოძრავებელი სისტემის და ძვლების დაავადებათა რენტგენოდიაგნოსტიკა	**2 თვე**	**800 ლარი**
		5. მოდული N1.5. მუცლის ღრუს დაავადებათა რენტგენოდიაგნოსტიკა	**2,5 თვე**	**1 000 ლარი**
		6. მოდული N1.6. ქალის რეპროდუქტიული სისტემის დაავადებათა რენტგენოდიაგნოსტიკა	**1,0 თვე**	**400 ლარი**
		7. მოდული N2.1. ულტაბგერის ფიზიკა, მისი გამოყენება სამედიცინო პრაქტიკაში. მუცლის ღრუს დაავადებათა ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის პრინციპები	**1,0 თვე**	**400 ლარი**
		8. მოდული N2.2. ღვიძლის დიფუზური დაავადებების ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა	**1,5 თვე**	**600 ლარი**
		9. მოდული N2.3. ღვიძლის კეროვანი დაავადებების (კეთილთვისებინი და ავთვისებიანი წარმონქმნების) ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა.	**1,5 თვე**	**600 ლარი**
		10. მოდული N2.4. ნაღვლის ბუშტის და სანაღვლე გზების მწვავე და ქრონიკული დაავაადებების (ნაღვლკენჭოვანი დაავადებები) ულტრა-ბგერითი დიაგნოსტიკა	**1,5 თვე**	**600 ლარი**

		11. მოდული N2.5. პანკრეასის მწვავე და ქრონიკული დაავადებების, მათი გართულებების ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა	**2,0 თვე**	**800 ლარი**
		12. მოდული N2.6. თირკმლების მწვავე და ქრონიკული დაავადებების ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა	**1,5 თვე**	**600 ლარი**
		13. მოდული N2.7. მცირე მენჯის ორგანოების: შარდის ბუშტის, წინამდებარე ჯირკვლის, საშვილოსნოს, საკვერცხეების ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა	**2,0 თვე**	**800 ლარი**
		14. მოდული N3.1. პერიფერიული ორგანოების (სარძევე ჯირკვალი, ფარისებური ჯირკვალი, პერიფერიული ლიმფური კვანძები) ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა	**1,0 თვე**	**400 ლარი**
		15. მოდული N3.2. დოპლეროგრაფია. ცერებროვასკულურ პათოლოგიათა (ექსტრაკრანიალური, ინტრაკრანიალური არტერიები, ვენები, ვენური სინუსები) ულტრაბგერითი (დოპლეროგრაფიული) დიაგნოსტიკა, ნეიროსონოსკოპია	**2,5 თვე**	**1 000 ლარი**
		16. მოდული N3.3. დოპლეროგრაფია. მუცლის ღრუსა და პერიფერიული სისხლძარღვების (მუცლის აორტა, ვისცერალური ტოტები, ქვემო ღრუ ვენა და მისი სისტემა, ზედა და ქვემო კიდურის არტერიული და ვენური სისტემა) ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა	**2,0 თვე**	**800 ლარი**
		17. მოდული N3.4. ექოკარდიოგრაფია	**4,0 თვე**	**1 600 ლარი**
		18. მოდული N3.5. მაგნიტურ-რეზონანსური დიაგნოსტიკის საფუძვლები	**2,0 კვირა**	**200 ლარი**
		19. მოდული N3.6. კომპიუტერულ-ტომოგრაფიული დიაგნოსტიკის საფუძვლები	**2,0 კვირა**	**200 ლარი**
		20. მოდული N3.7. რადიოიზოტოპური დიაგნოსტიკის საფუძვლები	**2,0 კვირა**	**200 ლარი**
4	პროგრამის **დამხმარე პერსონალის - ასისტენტის** (სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ფუნქციით) შრომის ანაზღაურება - სწავლის საფასურის **5 %**		**1 320 ლარი**	
5	პროგრამის **დამხმარე პერსონალის - ასისტენტის** (სამართლებრივი მხარდაჭერის ფუნქციით) შრომის ანაზღაურება - სწავლის საფასურის **5 %**		**1 320 ლარი**	
6	უნივერსიტეტის განვითარების ხარჯები - სწავლის საფასურის **20 %**		**5 280 ლარი**	